სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელით მაუწყებლობის გავრცელების თაობაზე

## ააიპ „სამცხე-ჯავახეთის მედიის ხელშეწყობის ფონდი"-ს

## მოწვევის ოფერტი

1. ციფრული საეთერო სამაუწყებლო მიწისზედა ქსელის პროვაიდერი - ააიპ „სამცხე-ჯავახეთის მედიის ხელშეწყობის ფონდი"

2. შეთავაზებული მომსახურების შინაარსს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მეშვეობით გავრცელება მხარის მიერ მოთხოვნილი სიმძლავრით.

**3. სამართლებრივი ფორმა:** არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი.

**4. იურიდიული მისამართი** (ადგილსამყოფელი): საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, 0179, პეტრიაშვილის ქ., № 3/5.

5. **ფაქტიური მისამართი/ქსელთან დამვების (მულტიპლექსორთან წვდომის) მისამართია:** საქართველო, წინოწმინდა, ქუჩა თავისუფლება, N 37

6. **მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები:** საიდენტიფიკაციო ნომერი: 404508145,

7. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები: გამგეობა: თავმჯდომარე/წევრი: **პ/ნ 60001006837**, ნათია კუპრაშვილი, წევრი/აღმასრულებელი დირექტორი: **პ/ნ 01012006210**, უჩა სეთური.

8. ლიცენზიით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (მომხმარებლებისათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით) სატელევიზიო კონტენტის 1 (ერთი) მგბ/წმ-ით გავრცელების ტარიფი თვეში შეადგენს **400 (ოთხასი)** ლარს დღგ-ს გარეშე.

9. ონლაინ გვერდის პარამეტრები: www.medianet.ge, ცხელი ხაზის ტელეფონია +995577773733, საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა:

10. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს გადამცემი სადგურის განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, შესაბამისი სიხშირული რესურსი და ტექნიკური პარამეტრები:

| № | ციფრული სამაუწყებლო ზონა | პუნქტი | ეფექტურადგასხივებული სიმძლავრე ERP [kW] | გეოგრაფიული კოორდინატები | | ანტენისპარამეტრები | | | ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჩრდილოეთ განედი (N) | აღმოსავლეთ გრძედი (E) | დაკიდების სიმაღლე ±5 (M) | გასხივების მიმართულება (მიმართული/არამიმართული) (D/ND) | პოლარიზაცია H/V | სატელევიზიოარხი | ცენტრალური სიხშირე (MHz) | ზოლისსიგანე (MHz) |
| 1 | GE0255 | სოფ. დამალა, ასპინძის | 0.4 | 41°35'58.32" | 43°19'9.93" | 20 | ND | H | 09 | 202 | 8 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მუნიციპალიტ ეტი | | | | | | | | | |

11. ქსელის ტექნიკური პარამეტრები, სტანდარტები და ტექნოლოგიები

ა) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/ქსელების აგებულია DVB-T (EN 300 744) სტანდარტით;

ბ) ქსელში უზრუნველყოფილია ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე არანაკლებ 24 მგბ/წმ- სა;

გ) მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 2.15 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 1.7 მგბ/წმ) სიჩქარით და მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 8 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 7 მგბ/წმ) სიჩქარით.

დ) აღნიშნული სიჩქარე განსაზღვრულია, როგორც სტატისტიკური მულტიპლექსირების საშუალო სიჩქარე ერთი კვირის განმავლობაში და მოიცავს ვიდეო, აუდიო და სუბტიტრირების შესაბამისი მონაცემების გადაცემას;

ე) ხელმისაწვდომობის ხარისხი (SLA) მომსახურების შეფერხების შემთხვევაში, „შეცდომა" განისაზღვრება ETSI TR 101 290 სტანდარტის შესაბამისად. ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნება - 98.5%;

ვ) „შეცდომები", რომელთა ხანგრძლივობა არ აღემატება 15 წამს უნდა იყოს იგნორირებული; ხელმისაწვდომობის დრო ითვლება დამოუკიდებლად, ცალკეული არხისა და ცალკეული ძირითადი გადამცემი სადგურის მონაცემების მიხედვით;

ზ) ხელმისაწვდომობის გაანგარიშების ფორმულა შემდეგი სახისაა:

K = 100 x (1-X/8760)

სადაც;

K - წარმოადგენს რეალურ ხელმისაწვდომობას გამოხატულს %-ებში;

X- წარმოადგენს არახელმისაწვდომობის დროს (საათები წელიწადში);

8760- წარმოადგენს სულ საათების რაოდენობას წელიწადში.

12. გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრები:

- სამუშაო დიაპაზონი VHF (174-230 მჰც);
- სიხშირული ზოლის სიგანე - 8მჰც;
- გადამცემი აღჭურვილია ზოლოვანი გამოსასვლელი ფილტრით და უზრუნველყოფდეს ზოლს გარეშე გასხივების ფარდობას სამუშაო ზოლში გასხივებასთან არანაკლებ 50დბ / ± 2მჰც დაშორებით სამუშაო ზოლის კიდეებისაგან.

13. მხარეთა ვალდებულებები გაწერილია თანდართულ ტიპურ ხელშეკრულებაში (დანართი N1)

14. ოფერტი ძალაშია 2018 წლის 12 იანვრიდან 2018 წლის 1 სექტემბერამდე.

დამტკიცებულია:

ნათია კუპრაშვილი

უჩა სეთური

მაუწყებლის ოფერტის დანართი N1

ქ. თბილისი 1 იანვარი 2018 წელი

ხელშეკრულება
სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ციფრული მაუწყებლობის
მომსახურეობის თაობაზე

ერთი მხრივ „სამცხე-ჯავახეთის მედიის ხელშეწყობის ფონდი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკა სეთურის სახით (შემდგომში „მულტიპლექსი") და ---------- (სახელწოდება და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა), საიდენტიფიკაციო კოდი ---------- მეორე მხრივ, წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში "მაუწყებელი") საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ამ კომპანიაზე გაცემული შესაბამისი ავტორიზაციის ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მაუწყებლისათვის" სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მეშვეობით გავრცელება მხარის მიერ მოთხოვნილი სიმძლავრით.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. მულტიპლექსი ვალდებულებულია:
2.1.1. უზრუნველყოს სამცხე ჯავახეთის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის შეუფერხებელი და უწყვეტი მუშაობა;
2.1.2. უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება საქართველოს კომუნიკაციების ლიცენზიის და საკონკურსო პირობების შესაბამისად.
2.1.3. განახორციელოს „მაუწყებლის" ყოველკვირეული სამაუწყებლო ბადის განთავსება მის ინტერნეტ გვერდზე მაუწყებლის ლიცენზიით/ავტორიზაციით განსაზღვრული, მომსახურების ზონის შესაბამისად, მოსახლეობის ხელმისაწვდომად;
2.1.4. შეუზღუდავად დაუშვას "მაუწყებელი" "მულტიპლექსის" კუთვნილ ერთ არხზე ქვემთ შეთანხმებული პირობებით;

2.2. მულტიპლექსი უფლებამოსილია:
2.2.1. მოითხოვოს" მაუწყებლისაგან არხის მომსახურების საფასურის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტით დადგენილი წესით;
2.2.2 გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 და მე-4 პუნქტებით მინიჭებული უფლებამოსილება და ამასთან მოითხოვოს "მაუწყებლისგან" წინამდებარე ხელშეკრულების 2.3.2, 2.4.1. და მე-4 მუხლების დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

2.3. "მაუწყებელი"ვალდებულია:
2.3.1. უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის შეასრულოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ წარმოშობილი ყველა ვალდებულება;

2.3.2. მიაწოდოს ე.წ. „მულტიპლექსის შესასვლელზე“ (ნინოწმინდა, -თავისუფლების ქ. 39 (ყოფ. №2 საბავშვო ბაღის შენობა, მეორე სართული, დროებით თანალოკაციის ფართი) საკუთარი სატელევიზიო სიგნალი საკუთარი ტექნიკური საშუალებებით და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ციფრული მაუწყებლობის შესაბამისი სტანდარტებით;

2.3.3. მოაგვაროს ანძასთან მიწოდების საშუალების განლაგების გადასახადის გადახდისა და საჭიროების შემთხვევაში ანძაზე მისი დაშვების საკითხი;

2.3.4. გადაიხადოს არხის გავრცელების მომსახურების საფასური სრულად წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის შესაბამისად;

2.3.5. სრულად აუნაზღაუროს "მულტიპლექსს" საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ნორმების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი.

2.4.1 "მაუწყებელი" უფლებამოსილია განახორციელოს მაუწყებლობა საქართველოს კანონმდებლობისა და მულტიპლექსზე მაუწყებლობის პირობების დაცვით;

2.4. „მაუწყებელი „უფლებამოსილია არხი გამოიყენოს მხოლოდ საკუთარი ავტორიზაციის და პროგრამული ბადის ფარგლებში წარმოებული კონტენტის გასავრცელებლად. „მაუწყებელს“ უფლება არ აქვს გადასცეს სხვა პირს ან სხვაგვარად დატვირთოს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის დროებით გამოყოფილი არხი ამ კონტრაქტის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე;

## 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის ---- იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დასრულება მხარე წერილობით არ განაცხადებს უარს თანამშრომლობაზე, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება იგივე ვადითა და იგივე პირობებით.

## 4. მომსახურების პირობები და საფასურის გადახდის წესი

4.1 მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად: ლიცენზიით განსაზღვრულ ციფრულ ბილისზედა სატელევიზიო ქსელში ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (მომხმარებლებისათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით) სატელევიზიო კონტენტის 1 (ერთი) მგბ/წმ-ით გავრცელების ტარიფი თვეში შეადგენს **400 (ოთხასი)** ლარს დღგ-ს გარეშე.

4.1. მხარეები ვთანხმდებით, რომ ერთი SD სტანდარტის სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით გავრცელებისას სიჩქარე უნდა იყოს არანაკლებ 2,5 მგბ/წმ-სა, ხოლო ერთი HD სტანდარტით გავრცელების სიჩქარე 8 მგბ/წმ .

4.2. ამ მუხლის 4.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი თვის მომსახურების წინსწრებად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე, „მულტიპლექსის“ მიერ წერილობით წარდგენილი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე, ამ დოკუმენტის მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა. არასრული თვის ანგარიშსწორებისას თანხა უნდა გადახდილი იყოს მოთხოვნიდან სამი საბანკო დღის ვადაში;

4.3. "მაუწყებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში "მულტიპლექსი" უფლებამოსილია "მაუწყებელს" დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,07% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავდროულად მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ჯარიმები და პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის წარმოადგენს მულტიპლექსის“ უფლებას და არა ვალდებულებას;

4.4. რეგულირების საფასურის გადახდას ახორციელებენ მხარეები ცალ-ცალკე, მათი შემოსავლების მიხედვით, კანონით დადგენილი წესით;

4.5. სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას მხარეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოებენ;

4.6. მხარეები მივიჩნევთ, რომ შეთანხმებული პირობების დაცვისა და მაღალი ხარისხის მომსახურეობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლოა დაიგეგმოს ტექნიკური სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც გამოყენებული იქნეს 24 საათი ანუ 01 (ერთი) დღე თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი არ შეიძლება ჩაითვალოს მომსახურების პირობების დარღვევად. ამასთან, „მულტიპლექსი" ვალდებულია აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შესახებ წინასწარ, წერილობით (მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით) აცნობოს ტელეკომპანიას სამი სამუშაო დღით ადრე;

## 5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება დათქმული ვადის ამოწურვისთანავე თუ მხარეებმა ერთმანეთს აცნობეს აღნიშნულის შესახებ წინასწარ.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია ვადაზე ადრე შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

5.2.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;

5.2.2. თუ რომელიმე მხარემ სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად და მნიშვნელოვნად დააღვია;

5.2.3. "მულტიპლექსის" ინიციატივით, როცა "მაუწყებელის" მიერ დარღვეული იქნება ხელშეკრულების 4.1. პუნქტი, ან "მაუწყებელი" უარს ამბობს გადაიხადოს შეთავაზებული გაზრდილი თანხა;

5.2.4. „მაუწყებლის" მიერ მომსახურების საფასურის ზედიზედ 3 თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე;

5.2.5. „მაუწყებლის" ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ასეთ შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია „მულტიპლექსს" წინასწარ, შეწყვეტის თარიღამდე 30 დღით ადრე წერილობით (დაზღვეული წერილით) აცნობოს ხელშეკრულების შეწყვეტის გადწრახვის თაობაზე.

5.3. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების უსაფუძვლოდ ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ჯარიმის გადახდა მომსახურების ერთი თვის საფასურის ორმაგი ოდენობით.

## 6. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიან ან ნაწილობრივ შესრულების პასუხისმგებლობიდან დაუძლეველი ძალების არსებობის (ფორსმაჟორი) შემთხვევაში, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ და მოქმედებს ვალდებულებათა შესრულებაზე;

6.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული მდგომარეობა ვალდებულია 10 (ათი) დღის ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ფორს– მაჟორული მდგომარეობის დაწყების, მისი სავარაუდო ხანგრძლიობისა და დამთავრების შესახებ.

## 7. კონფიდენციალობა

7.1. მხარეებს უფლება არ აქვთ გამოიყენონ ერთმანეთის საქმიანობასთან და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არანაირი ინფორმაცია;

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ყველა ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოქმნილი ურთიერთობის ფარგლებში;

7.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენონ მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად.

## 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. დავათა გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით; ფოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლო წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. მხარეები ვთანხმდებით, რომ სასამართლო დავის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიულ ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელიც ინახება მხარეებთან.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| მულტიპლექსი" | "მაუწყებელი" |
| სააქ „საქართველოს ტელევიზიის ტელეფონის ხელშეწყობის ფონდი" | |
| საიდენტ. # 404508145<br>საქართველო, თბილისი,<br>ძველი თბილისის რაიონი, პეტრიაშვილის ქ., № 3/5<br>საბანკო მონაცემები: საქართველოს ბანკი, | |
| აღმასრულებელი დირექტორი<br><br>ეკა სეთყელი | |